# 1 ოქტომბერი



## 2017 ვირა

ეზეკ 18,25-28; ფს 24; ფილიპ 2,1-11; მთ 21,28-32

მისიონერთა თვე

### მებაჟენი და მეძავნი შეგასწრებენ ღვთის სასუფეველში მთ 21,31

დიახ, ასე მოხდება, თუკი ვცხოვრობ დარმუნებული იმაში, რომ პრინციპში დიდი არაფერი ჩამიდენია და შესაბამისად, მიმაჩნია, რომ წესრიგში ვარ ღმერთის წინაშე. ჩემზე დიდ ცოდვილთ კი, თუკი აღიარებენ თავიანთ ცოდვას და განიცდიან მის მიტევებას, შეეძლებათ ნამდვილად შეცვალონ და შემოაბრუნონ თავიანთი სიცოცხლე ღმერთის მითითებისამებრ. უმჯობესია მოექცე, ვიდრე თავი მოიტყუო!

# 2 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II], თ

წმ. მფარველ ანგელოსთა, (მ) [ს]

## 2017 ორშაბათი

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

### ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს მთ 18,5

*„ჩემი სახელით“:* იესო გვიწვევს, იგი დავაყენოთ პირველ ადგილზე ყოველ საქმეში, ყველაზე მცირეშიც, როგორიც შესაძლოა იყოს პატარების მოფერება. ისინი, და არამხოლოდ ისინი, ვერ დაგვიბრუნებენ, მაგრამ თავად იესო, რომელიც იყო ჩვენი სიყვარულის ქმედების საბაბი, მოდის ჩვენთან, თავისი სიხარულით. შევახსენოთ დღეს ჩვენს ბავშვებს, რომ მამამ მიანიჭა მათ საოცარი ანგელოზი, მუდამ რომ გვერდში ჰყავთ და იცავს, და რომელთანაც შეუძლიათ საუბარი!

# სამშაბათი

ზაქ 8,20-23; ფს 86; ლკ 9,51-56

**თქვენთან წამოვალთ, რადგან გაგებული გვაქვს, რომ თქვენთან არის ღმერთი** ზაქ 8,23

დაე, ჩვენმა, ქრისტიანთა დამოწმებამ, განსაკუთრებით კი დღეს ჩემმა, აჩვენოს იესოს გამოცხადების ჭეშმარიტება და ვინმეს მაინც განაცდევინოს სიყვარულისა და მშვიდობის ღმერთის სიყვარულით სავსე ყოფნა და სიახლოვე!

# ოთხშაბათი

ნეემ 2,1-8; ფს 136; ლკ 9,57-62

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

## ჩემი ტვირთი ტკბილია მთ 11,30

ამ სიტყვების სიმართლე განიცადა წმიდა ფრანცისკემ, რომლის დღესაც აღნიშნავს დღეს ეკლესია. მან, მას შემდეგ, რაც საკუთარ ვნებათა და ამბიციათა სასტიკ ბატონს ემსახურა, განიცადა ლაღი და მშვიდი, ღრმა და აუმღვრეველი სიხარული, რომელიც მოედინებოდა სიყვარულით მასთან შესახვედრად გამოსული იესოს მკლავებში ბავშვივით განაბებიდან.
წმიდაო ფრანცისკე, გასაჭირის შუაგულშიც იესოს სიხარულით სავსე მგალობელო, ილოცე ჩვენთვის!

# 5 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

წმ. ფაუსტინა კოვალსკა, მონაზ., +1938

2017

## ხუთშაბათი

ნე 8,1-4.5-6.7-12; ფს 18; ლკ 10,1-12

### ვეზავნით როგორც კრავებს მგლებს შორის ლკ 10,3

კრავებს არ ძალუძთ დაუშავონ რაიმე მგლებს. იესოს მოწაფეებს არა სურთ რაიმე დაუშავონ ვინმეს, რადგან მათი რჯული მამა ღმერთის უსასრულო სიყვარულია, მათი იარაღი კი მიტევებაა. ამგვარად ისინი გაიმარჯვებენ „მგელზე“, ნადირზე, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის თესვა ხელეწიფება. მახსოვს ორიოდე წლის წინანდელი სიტყვები, ახალგაზრდა მამა რომ ეუბნებოდა თავისი ცოლის მკვლელებს: „ვერ ეღირსებით სიძულვილს ჩემგან, ვერც ჩემი შვილისგან“.

# 6 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

წმ. ბრუნო, ბერი, +1101

# 2017 პარასკევი

ბარ 1,15-22; ფს 78; ლკ 10,13-16

## არ ვისმინეთ უფლის ხმა ბარ 1,21

ამ ნაკლის შედეგად ერმა იწვნია მძიმე უბედურება. ჩვენთვისაც უფლის ხმის მოსმენა ერთადერთი გზაა ნამდვილი კეთილდღეობისათვის, ჩვენს შორისა და ჩვენს შიგნით მშვიდობისათვის.
მადლობა, უფალო, რომ ჩვენი ცხოვრება გადარდებს და გველაპარაკები: ძმათა საკრებულოში შენი სახელით შეკრებილებს, შენი სიყვარულით ნაძერწ და მოვლენილ მწყემსებში, ჩვენი გულების სიღრმეში, როდესაც სუფთა გვაქვს ის!

# შაბათი

ბარ 4,5-12.27-29; ფს 68; ლკ 10,17-24
(ან, საქმ 1,12-14; საგ. ლკ 1,46-55; ლკ 1,26-38)

ახალციხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

## ვინც თავზე დაგვატეხათ უბედურება, სათუკუნო სიხარულსაც მოგვივლენთ ბარ 4,29

ბარუქ წინასწარმეტყველმა შესაძლოა გვაფიქრებინოს დამსჯელ ღმერთზე. ბიბლიურ ენაზე ყოველივე მიეწერება ღმერთს, რათა გამოხატოს მისი უზენაესობა. მაშასადამე, არ უნდა ვხედავდეთ მის სასჯელს ჩვენი ცოდვის შედეგებში. მან თავისუფლები შეგვქმნა და გვთავაზობს მარადიული სიხარულის შესაძლებლობას, უკვე ახლავე რომ იწყება. თუკი უარს ვიტყვით ამ შემოთავაზებაზე და ავირჩევთ იმას, რასაც დაღუპვამდე მივყავართ, აღმოვჩნდებით ყელამდე იმ ბოროტებაში, რისგანაც მან თავის დროზე გაგვაფრთხილა და რისი აცილებაც სურდა ჩვენთვის. მადლითა და მარადიული სიხარულით სავსე მარიამ, ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის!

# 8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირადღე, «ა», [III], მწ

## 2017 ვირა

ეს 5,1-7; ფს 79; ფილიპ 4,6-9; მთ 21,33-43

**მშენებლებისაგან დაწუნებული ქვა ქვაკუთხედად იქცა** მთ 21,42

ამ სიტყვას სურს დაგვეხმაროს, ყოველ საქმიანობაში ვეძიოთ უფლისათვის სათნო. მართლაც, მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ცხოვრება მის ხელთაა, ის იძენს მნიშვნელობას და გამოაქვს ნაყოფი. ჩვენ არ ავედევნებით მოდასა და ცრუ წინსვლას; იესოსთან ვართ ერთობაში, წმიდა ეკლესიის ქვაკუთხედთან!

# 9 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

წმ. დიონისე ეპ. და მეგ., წამ., +IIIს.

## 2017 ორშაბათი

იონ 1,1 – 2,1.11; საგ.: იონ 2,3-5.8; ლკ 10,25-37

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის მოხსენიება ( + 1892)

### ვინაა ჩემი მოყვასი? ლკ 10,29

მე ვარ ყოველი ადამიანის მოყვასი, რაკი ყოველი ადამიანი უყვარს ღმერთს. ყოველი ადამიანი, არამხოლოდ ის, სათნოებით სავსე, არამედ ბოროტის კლანჭებით დაფლეთილიც, სიძულვილით სავსე და სიკვდილის მთესველი. დიახ, იმ ჩემი მოყვასისთვისაც გაიღო იესომ თავისი სისხლი: ვიზრუნებ მასზე, ლოცვის 'ღვინოსა და ზეთს' დავასხამ მის იარებს, რათა მოექცეს და განიკურნოს.

# სამშაბათი

იონ 3,1-10; ფს 129; ლკ 10,38-42

## შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა იონ 3,10

*„...და ინანა ბოროტება, რისი მოწევაც სურდა მათზე“*. მავანი ფიქრობს, რომ ღმერთი დიქტატორსა ჰგავს, რომელიც ერთს იტყვის და აღარასოდეს გადათქვამს... არაა ასე! ღმერთი მამაა, რომელსაც სურს ჩვენთან თანხმობაში იმოქმედოს: ყოველივე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მისი გულში თავისი ფასი ადევს. ასეც კი შეგვიძლია ვთქვათ: იგი ჰგავს ნამდვილ შეყვარებულს, ნამდვილ საქმროს, რომელსაც ჩვენი სიყვარულით, ყველაფერს გავაკეთებინებთ!

# ოთხშაბათი

იონ 4,1-11; ფს 85; ლკ 11,1-4

## მოგვიტევე ჩვენი ცოდვანი ლკ11,4

მადლობა, იესო, რომ ჩვენთვის მოცემულ ლოცვაში ჩადე ეს მცირე, მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანი თხოვნა! შესაძლოა ვერც კი ვხვდები, როდის განმწმედს მე შენი სისხლი იმისაგან, რაც იშვა ჩემი ამპარტავნებისა და თავკერძობისაგან, აღმოვჩნდები დახსნილი და მშვიდი, ნამდვილი და ღრმა, სიხარულის ურთიერთობების შემძლე. იესო, კვლავაც გავიმეორებ, მუდამ სასოებით: *„მოგვიტევე ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი“*!

# ხუთშაბათი

მალ 3,13–20ა; ფს 1; ლკ 11,5–13

## მოვუვლი მათ, როგორც მამა უვლის თავის შვილს ლკ 3,17

ღმერთის რა მშვენიერი დაპირება გვესმის მალაქიას პირიდან! რაოდენი სიმშვიდით, მშვიდობითა და სასოებით გვავსებს! მადლობა, იესო, რომ დაგვარწმუნე, რომ ღმერთი ჭეშმარიტად მამაა ჩვენი, ზრუნვით რომ გვიყურებს როგორც შვილებს: *„თქვენ, ბოროტნი თუკი აძლევთ კარგ რამეებს თქვენს შვილებს, რაოდენ უფრო მეტად მამა თქვენი...!“*

# პარასკევი

იოვ 1,13-15;2,1-2; ფს 9; ლკ 11,15-26

## ახლოვდება უფლის დღე იოვ 1,15

როდესაც ახლოვდება შენი დღე, უფალო, ანუ, როდესაც შენ მოქმედებ ჩემს ცხოვრებაში, ან ჩემი ძმებისა თუ მთელი ერის ცხოვრებაში, ყოველთვის ცხონების ჟამია: შენ სხვა არა შეგიძლია რა, თუ არა ჩვენი სიყვარული, მუდამ! შენი მხრიდან შესწორებებიც სიყვარულია. მადლობა იმ ჯერზეც, როცა შესაძლოა გამიჭირდეს შენთვის ამის თქმა!

იოვ 4,12-21; ფს 96; ლკ 11,27-28

## ნეტარნი არიან ისინი, ვინც ისმენენ ღვთის სიტყვას ლკ 11,28

მეც შემიძლია დავაგემოვნო იესოს მთელი სიყვარული; მეც შემიძლია ვიფიქრო და ვიზრუნო მასზე, როგორც დედა საკუთარ შვილზე; მეც შემიძლია ვიყო 'დიდი' მის გულში! ამის გზას მასწავლის მისივე დედა: იყო ყურადღებიანი და გულღია მამის ყოველს სიტყვაზე, ყოველივე იმაზე, რაც მას სწადია ჩემთვის.

# 15 ოქტომბერი



## 2017 ვირა

ეს 25,6-10; ფს 22; ფილიპ 4,12-14.19-20; მთ 22,1-14

**წვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა** მთ 22,14

საქორწილო სამოსი, რაზეც დღეს გვესაუბრება
იესო და რომელიცაა რჩეულობის ნიშანი,
გვაფიქრებს, და ვითხოვთ სული წმიდის ნათელს.
შესაძლოა გაგვახსენოს იესო, რომელიც თეთრ
და ნათლითმოსილ სამოსის მსგავსად მოსავს მას,
ვინც ღებულობს მას წმიდა ნათლისღებაში და
ყოველდღიურად ღებულობს მისგან აზრებსა და
სურვილებს, ანუ, სიცოცხლეს.

# 16 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

წმ. იადვიგა, მონ., +1243;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკ, ქალწ., +1690

2017

# ორშაბათი

რომ 1,1–7; ფს 97; ლკ 11,29–32

## ვიყოთ მოკიქულები, რათა მისი სახელით დავუმორჩილოთ სარწმუნოებას ყველა ხალხები რომ 1,5

„მოციქულნი“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით არიან თორმეტნი და მათი მემკვიდრენი, ეპისკოპოსნი. თუმცა კი იესოს ყოველი მოწაფე, მისი ეკლესიის ყოველი წევრი *„მოციქულია“*, ანუ, „მივლენილი“ ხალხთა შორის და ხალხში იმის სამოწმებლად, რომ ღმერთი სიყვარულია. და მხოლოდ ღმერთის სიყვარულის გამოცდილება თუ დაგვეხმარება მივენდოთ და დავყვეთ მას, სერიოზულად მივიღოთ მისი გამოცხადება და მითითებანი.

# 17 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] წ

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ., +~107 (მ)

## 2017 სამშაბათი

რომ 1,16-25; ფს 18; ლკ 11,37-41

**თუმცა შეიცნეს ღმერთი, არ ადიდეს იგი** რომ 1,21

თუკი ბოლომდე ჩავიკითხავთ წმიდა პავლეს ამ ნაწერს, დავინახავთ, როგორ მეორდება დღესაც ის მდგომარეობა, რომელსაც იგი აღწერს: მრავალნი, გულის დამაბრმავებელი ვნებების მიზეზით შორდებიან ჭეშმარიტებას, რომელსაც ყოველი ჯანსაღი მზერა სწვდება. ადამიანისთვის უღირსი სახით მოქცევით ისინი არა სცემენ თაყვანს შემოქმედს. ჩვენი საქმე არაა არავის განსჯა, თუმცა კი მოგვეთხოვება სიფხიზლე საკუთარ თავზე და ჩვენს შვილებზე, და მრავალი ლოცვა მათთვის.

# 18 ოქტომბერი

2017

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +861;
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს.

## ოთხშაბათი

2ტიმ 4,10–17; ფს 144; ლკ 10,1–9

**სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტა** ლკ 10,2

მამაო სახიერო, დღეს გევედრები – როგორცა მთხოვს ამას შენი ძე იესო –, რომ *მოავლინო მუშაკნი შენს სამკალში*: სამუშაო ნამდვილად ბევრია! კვლავაც მიმიღე მე, ჩემი პატარა ცხოვრებით; აღავსე ის შენი სულით, რათა ყოველი ჩემი ამოსუნთქვა, ყოველი ჩემი ნაბიჯი თუ აზრი, შენდამი მოძღვნილი სიყვარული იყოს, შენი სამკალის კეთილი მუშაკის ნამუშევარი!

# 19 ოქტომბერი

2017

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და
ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს.;
წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., +1775

## ხუთშაბათი

რომ 3,21-30; ფს 129; ლკ 11,47-54

## რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთაგან დამოუკიდებლად

რომ 3,28

რამდენი იკამათეს ამაზე ქრისტიანებმა... უფალო იესო, მწამს შენი! შენი სულის ნათლითა და ძალით შემეწიე, ვიცხოვრო სიყვარულში, შენი სიტყვისამებრ. ოღონდ, არა იმისათვის რომ შენს წინაშე „ქულები“ დავაგროვო (რაოდენ ამპარტავნული სურვილი იქნებოდა ეს ჩემი მხრივ), არამედ რათა მადლობა გითხრა რომ უკვე გიყვარვარ, უკვე გასწირე შენი თავი ჩემთვის და უკვე მომიმზადე ადგილი შენს გვერდით. ბევრჯერ ვერ ვიქნები ჩემი მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ვენდობი შენს გულმოწყალებას, რომელიცაა ჩემი ხსნა.

# 20 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

## 2017 პარასკევი

რომ 4,1-8; ფს 31; ლკ 12,1-7

### ნუ გეშინიათ, მრავალ ბეღურაზე მეტი ხართ ლკ 12,7

*„ნუ გეშინიათ!“* – ეს მოხმობა-ბრძანება ბიბლიაში 365-ჯერ გვხვდება, წელიწადის ყოველ დღეს რომ ეყოს! უფალს სურს დაგვეხმაროს, რომ გვახსოვდეს მისი, ზეცისა და მიწის ღმერთის სიყვარული, ძლიერი სიყვარული. ისევ და ისევ მას სურს დაგვეხმაროს, მას გადავცეთ ჩვენი ცხოვრება, ნდობით, დღითი დღე. გვსურს დავიწყოთ გაბედულად, დღესვე!

# შაბათი

რომ 4,13.16-18; ფს 104; ლკ 12,8-12

## წმიდა სულის მგმობელს არ მიეტევება ლკ 12,10

სული წმიდის გმობა ნიშნავს, იმის მიუხედავად, რომ მიღებული გვაქვს ამის ნიშნები, არ ვაღიაროთ რომ იგი, მამის სიყვარული და ძალა, მოქმედებს იესოში. ამ ცოდვის მიტევება შეუძლებელია, უბრალოდ იმიტომ, რომ მხოლოდ იესოა მაცხოვარი, მის გარეშე არ არსებობს ღვთის მიტევება. ხოლო ის, ვინც ღებულობს მას როგორც მამისაგან მოვლენილს, შეუძლია მივიდეს მასთან სასოებით, პატიების სათხოვნელად ყველაზე მძიმე ცოდვებისთვისაც კი.

# 22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირადღე, «ა», [I], მწ

## 2017 კვირა

ეს 45,1.4-6; ფს 95; 1თეს 1,1-5; მთ 22,15-21

მისიების მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

### ნებადართულია თუ არა კეისრისათვის ხარკის გადახდა? მთ 22,17

ამ ეშმაკურად დასმული კითხვით, იესო, შენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ მიგიმწყვდიონ... შენ პასუხობ მათ სიბრძნით სავსე სიტყვებით: თუკი ვსარგებლობთ კეისრის სამსახურით, მივცეთ კიდეც რაც მას ეკუთვნის. ოღონდ ნათლად გვახსოვდეს: სიცოცხლე, სიყვარული მხოლოდ მამისაგან მომდინარეობს და მხოლოდ მას უნდა დაუბრუნდეს! სადაც წესრიგია, იქაა შესაძლებელი მშვიდობა.

# 23 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუც., +1456

## 2017 ორშაბათი

რომ 4,20-25; საგ.: ლკ 1,68-75; ლკ 12,13-21

**ის რაც დაავრცოვე, ვის დარჩება?** ლკ 12,20

იესო, შენ ჩემთვის შვილების მოცემა არ გიფიქრია, მაგრამ მეცა მყავს ხალხი, ძალიან მრავალნიც, ვისთვისაც შემიძლია შრომა და გარჯა. მსურს გავუმზადო მათ გზა, რომელზეც შენ შეგხვდებიან! ესა სურს, რა თქმა უნდა, ყოველ ქრისტიან მშობელს. ერთად ვიქნებით ბედნიერები, მამის გულში!

# 24 ოქტომბერი

2017

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ. +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915, თ

## სამშაბათი

რომ 5,12.15.17-19.20-21; ფს 39; ლკ 12,35-38

**სადაც ცოდვამ იმრავლა, ფუფრო გაფუსვდა მადლი** რომ 5,20

ეს სიტყვა გვეხმარება გული არ გავიტეხოთ საკუთარი ცოდვების შემხედვარე: თუკი თავმდაბლად და სასოებით გადავცემთ მათ იესოს, ისინი გადაიქცევა მის სიყვარულში ზრდის შესაძლებლობად. მრავალჯერ განმიცდია ეს თავად. ერთ დღეს სევდა შემომაწვა, რადგან ერთი ძმის მიმართ სიყვარულში მოვიკოჭლებდი. შევჩივლე ერთს, რომელმაც შემახსენა, რომ იესოს ყველაფრის გამოსწორება შეუძლია. მაშინვე განათდა: იმ ძმისთვის უნდა მეთხოვა პატიება იესოს სახელით! მაშინვე დაუბრუნდა მშვიდობა ჩემს გულს.

# ოთხშაბათი

რომ 6,12–18; ფს 123; ლკ 12,39–48

**ვისაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეკითხება** ლკ 12,48

როგორც სიყვარულით სავსე ოჯახში ეკლესიაშიც არ უნდა ვუყუროთ ერთმანეთს შურით. ვისაც ბევრი აქვს მიღებული უფლისაგან, ის უფრო მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებს, რაზეც ანგარიშის ჩაბარება მოუწევს. ვილოცოთ ერთმანეთისათვის, რათა სიყვარულში ურთიერთმსახურებით შევძლოთ ვიხაროთ უკვე ამქვეყნად და შემდეგ ზეცაში, მამის სიტკბოებით!

# 26 ოქტომბერი



## 2017 ხუთშაბათი

რომ 6,19-23; ფს 1; ლკ 12,49-53

**თქვენი ასოები სიმარჯთლის სამსახურში ჩაიყენეთ** რომ 6,19

მოზარდობისას და სიყმაწვილისას ხშირად მემართებოდა ხოლმე რომ მბეზრდებოდა, არ ვიცოდი, რითი ამევსო დრო. მადლობა ღმერთს, რომ იესომ თვალი ამიხილა: მას შემდეგ, რაც იგი ვიხილე, დავინახე ჩემს ირგვლივ დანი და ძმანი. შევუდექი სხვებისთვის უანგაროდ დროისა და ძალების ხარჯვას და სწორედ მაშინ დავაგემოვნე სიხარულიც.

# პარასკევი

რომ 7,18-25; ფს 118; ლკ 12,54-59

## როდესაც სიკეთის კეთება მსურს, ბოროტი გვერდით მიწევს *რომ 7,21*

წმიდა პავლე, დიდი უბრალოებითა და თავმდაბლობით გვიზიარებს თავის სირთულეს... ამავე სირთულეს განვიცდით ხოლმე ჩვენც, განიცდის ყოველი ადამიანი! ოღონდ, ჩვენ ქრისტიანებს არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ჩვენში ცხოვრობს ის, ვისაც ძალაც შესწევს და ვუყვარვართ კიდეც, იესო! მასთან ერთად გამარჯვებულნი ვართ. ჩვენი ვალია და ამავე დროს სიხარული, დავეხმაროთ პატარებს იცხოვრონ და გაიზარდონ ამ გამოცდილებაში: მათაც სჭირდებათ იესო!

# 28 ოქტომბერი

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

## 2017 შაბათი

ეფ 2,19–22; ფს 18; ლკ 6,12–19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

**მოუხმო თავის მოწაფეებს და ამოირჩია მათგან თორმეტნი** ლკ 6,13

დღეს თორმეტი მოციქულიდან ორს ვზეიმობთ, წმიდა სიმონსა და იუდას. მათზე განსაკუთრებული ცნობები არ გაგვაჩნია. ვიცით, რომ იესომ აირჩია ისინი სხვებთან ერთად, ლოცვაში გატარებული ღამის შემდეგ. იცხოვრეს მასთან, ისმინეს მისი მოძღვრება, იხილეს მისი ნამოქმედარი, მისი სიკვდილი და აღდგომა. მათ რწმენასა და სიყვარულს, მათ მოწმობას ემყარება ჩვენი რწმენაც. ვმადლობთ მათ და შევთხოვთ, ილოცონ ჩვენთვის.

# 29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირადღე, «ა», [II], მწ

## 2017 კვირა

გამ 22,20-26; ფს 17; 1თეს 1,5-10; მთ 22,34-40

**მოძღვარო, რომელი მცნებაა**
**დიდი რჯულში?** მთ 22,36

იესო მტკიცედ და უბრალოდ პასუხობს კითხვას, რომელსაც ყველაზე დაფასებული რაბინები ხანგრძლივ დისკუსიებს უთმობდნენ. წმიდა სულის ნათელი აღავსებდა მის გონებასა და გულს, მის სულსა და სხეულს, და იცნობდა მამას; ხედავდა, რომ მთელ გამოცხადებაში და ყოველ მის მითითებაში სხვა არა იყო რა თუ არა სიყვარული, სიყვარული, რომელსაც იგი გვიძღვნის ჩვენ, რათა ძმებს გადავცეთ ის.

# 30 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

## 2017 ორშაბათი

რომ 8,12–17; ფს 67; ლკ 13,10–17

**დედაკაცო, თავისუფალი ხარ შენი სენისაგან** ლკ 13,12

იესო, შენი თანამლმობი გულიდან მომდინარე
ამ სიტყვებისთვის შეეძლოთ გაეძევებინეთ
სინაგოგიდან სწორედ მათ, ვისაც მეთაურები
და მოძღვრები ერქვათ. ამავე თანალმობამ
გაგაძლებინა ჯვარზე, სისხლით დაფარული,
წუთისოფლის ცოდვის, ჩემი ცოდვის წყევლით
დამძიმებული! თაყვანსა გცემ, იესო, თანალმობით
სავსევ, ჩვენ საბრალონი რომ შეგვიყვარე!

# 31 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

## 2017 სამშაბათი

რომ 8,18-25; ფს 125; ლკ 13,18-21

### სასოებით ვიქენით ხსნილნი რომ 8,24

ჩვენ, რომლებსაც გვწამს იესო, დარწმუნებულნი ვართ რომ მან გვიხსნა, მამაზეციერთან თანაზიარება აღგვიდგინა. ამგვარად მშვიდ სასოებაში ვცხოვრობთ: მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც არ დაგვიგემოვნებია, რაც მისმა სიყვარულმა გაგვიმზადა, მასთან უღრმესი კავშირებით, ლოცვით ნასაზარდოებნი, მსახურებისათვის მზა სიყვარულით მიძღვნით, სასოებით დავდივართ წუთისოფლისა და ჩვენი ცხოვრების ბილიკებზე, ყველაზე ბნელ ბილიკებზეც, დარწმუნებულნი, რომ არ დავრჩებით იმედგაცრუებულნი: მას ხომ ჩვენი ხელი უჭირავს!